საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე

მწვანე ნარგავების შესწავლის თარიღი:	09. 09. 2020 წ.
დასკვნის გაცემის თარიღი:	28. 09. 2020 წ.
დასკვნის რეგისტრაციის ნომერი:	N 001/231-ვ

ფართობი (კვმ)	4225
საკადასტრო კოდი N	01.17.10.008.153
მისამართი:	ქალაქი თბილისი , ჭუჩა წულუკიძე , N 6
მესაკუთრე	შპს „ტიბინი ჯგუფი“ ID ნომერი:406117492
საფუძველი:	საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილება საქართველოს „წითელი წუსხის“ დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის ბრძანება ხილკენკროვანი ხემცენარეების წუსხის დამტკიცების და მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილ პირად დავით კობახიძის რეგისტრაციის თაობაზე (ბრძ. N 5-31 02. 06. 2017წ)

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა	42
შეფასებული მწვანე ნარგავების რაოდენობა	42
კვლევის ჩატარების მეთოდი	ვიზუალური

ხმობადი და დაავადებული მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა აღნიშნულია (ხმობადი ან დაავადებული იხ. ცხრილი N 1) და დასკვნას დანართი N 1-ის სახით ერთვის ლაბორატორიული კვლევის ამსახველი დოკუმენტი.

ჯანსაღი მწვანე ნარგავების შემთხვევაში გრაფაში მდგომარეობა იწერება ჯანსაღი და გრაფაში შენიშვნა აღნიშნულია ექსპერტის რეკომენდაცია ხე-მცენარის გადარგვის შესაძლებლობის თაობაზე. იხ. ცხრილი N 1

მწვანე ნარგავების ნუმერაციის მიხედვით კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა თან ერთვის დანართი N 2 (CD დისკზე).

დასკვნას ასევე თან ერთვის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, იმ შემთხვევებისთვის როცა მეპატრონეს სამშენებლო პროექტის განსახორციელებლად ხელს უშლის მწვანე ნარგავი.

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, მდგომარეობის, დიამეტრის (მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე) და საჭიროების შემთხვევაში ხნოვანების შესახებ

ცხრილი N 1

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	ჯგუფები 1სმ-დან-4სმ-მდე ცალი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	47,8	41,4		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
2	კვიდო (Ligustrum)	30,3	15,9		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
3	კვიდო (Ligustrum)	23,9	11,1		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
4	კვიდო (Ligustrum)	17,5	15,9		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
5	კვიდო (Ligustrum)	33,4	11,1		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
6	ჰიმალაის კედარი (Cedrus deodara)	51,0	41,7		11	ჯანსაღი	
7	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	51,0	41,4		9,5	ზეხმელი	გადანაბელი
8	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	54,1	39,8		7	ზეხმელი	გადანაბელი
9	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	15,9	14,3		6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

10	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	11,8	9,6		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
11	კვიდო (Ligustrum)	15,0	11,1		4,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
12	პალმა (Palmae)	14,3	12,7		4	ზეხმელი	
13	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	38,2	29,3		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
14	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	46,8	35,4		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
15	კვიდო (Ligustrum)	9,6	3,2		2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
16	კვიდო (Ligustrum)	9,6	1,6		1,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
17	კვიდო (Ligustrum)	1,6	0,0		0,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
18	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	33,4	27,1		7,5	ზეხმელი	
19	კვიდო (Ligustrum)	8,0	5,4		3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
20	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	40,4	34,1		8,5	ჯანსაღი	
21	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	29,0	22,9		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
22	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	36,9	28,3		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

							მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
23	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	39,8	34,1		9	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
24	კვიდო (Ligustrum)	9,6	3,8		2,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
25	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	38,9	35,0		9	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
26	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	31,8	22,9		6,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
27	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	60,5	44,6		9	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, იხ.ლაბორატორიული დასკვნა
28	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	47,8	35,4		9	ჯანსაღი	
29	კვიდო (Ligustrum)	19,1	9,6		4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ორკაპი
30	ჭადარი (Platanus)	38,9	31,8		10	ზეხმელი	
31	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	41,4	37,6		9	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
32	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	55,7	41,4		9,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით

33	თუთა ჩვეულებრივი (Morus)	47,1	27,4		6,5	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, იხ.ლაბორატორიული დასკვნა
34	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	40,8	35,7		9,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
35	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	43,9	36,3		9,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
36	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	47,8	43,6		6,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
37	თუთა ჩვეულებრივი (Morus)	25,5	15,9		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით , ორკაპი
38	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	25,5	14,3		6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით , ორკაპი
39	კატალპა (Catalpa)	11,1	8,6		4,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
40	კაკლის ხე (Juglans regia)	8,0	8,6		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
41	კატალპა (Catalpa)	8,6	4,8		3,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
42	თუთა ჩვეულებრივი (Morus)			3	3,5	ჯანსაღი	ჯგუფში 3 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

ტერიტორიაზე განთავსებული 42 ნომერი ხე–მცენარის ნუსხა სახეობების მიხედვით

ჯგუფებად მდგომი ხე-მცენარე 1 ნომერი, მათ შორის
დაბალი ღირებულების ფოთლოვანი ხე - თუთა ჩვეულებრივი
კერძოდ:
N 42 ჯგუფში 3 ერთეული თუთა ჩვეულებრივი - Morus.

ერთეულად მდგომი მცენარეებია 41 ძირი, მათ შორის ხე 30 ძირი და ბუჩქი 11 ძირი, კერძოდ:

1. *საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* 1 ძირი:
   - 1 ძირი (N 40) კაკლის ხე - Juglans regia.

2. *მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარე* 18 ძირი:
   - 16 ძირი (N 1, N 13, N 14, N 18, N 20, N 21, N 22, N 23, N 25, N 26, N 28, N 31, N 32, N 34, N 35, N 36) ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica.
   - 2 ძირი (N 9, N 10) აღმოსავლური ბიოტა - Platycladus orientalis.

3. *წიწვოვან სახეობათა ჯგუფის ხე-მცენარე* 1 ძირი:
   - 1 ძირი (N 6) ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara.

4. *დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვან სახეობათა ხე-მცენარე* 10 ძირი:
   - 2 ძირი (N 33, N 37) თუთა ჩვეულებრივი - Morus;
   - 4 ძირი (N 7, N 8, N 27, N 38) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
   - 2 ძირი (N 39, N 41) კატალპა - Catalpa;
   - 1 ძირი (N 12) პალმა - Palmae;
   - 1 ძირი (N 30) ჭადარი - Platanus.

5. *ბუჩქოვანი და ხვიარა სახეობათა ჯგუფის ხე–მცენარე* 11 ძირი:
   - 11 ძირი (N 2, N 3, N 4, N 5, N 11, N 15, N 16, N 17, N 19, N 24, N 29) კვიდო - Ligustrum.
   იხ. ცხრილი N 1.

აღრიცხული 42 ნომერი ხე-მცენარიდან:

1. *ხმობადია* 2 ძირი ხე–მცენარე, კერძოდ :
   - 1 ძირი (N 27) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
   - 1 ძირი (N 33) თუთა ჩვეულებრივი - Morus.

   იხ. ლაბორატორიული დასკვნა. (დანართი N 1)

2. *ზეხმელია* 5 ძირი ხე-მცენარე, კერძოდ :
   - 2 ძირი (N 7, N 8) კანადური ვერხვი - Populus deltoides;

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

- 1 ძირი (N 12) პალმა - Palmae;
- 1 ძირი (N 18) ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica;
- 1 ძირი (N 30) ჭადარი - Platanus.

3. ჯანსაღია 35 ნომერი ხე–მცენარე, მათ შორის
ჯგუფად მდგომი ხე-მცენარე 1 ნომერი:

- 1 ნომერი (N 42) თუთა ჩვეულებრივი - Morus.

ერთეულად მდგომი ხე-მცენარე 34 ძირი:

- 2 ძირი (N 9, N 10) აღმოსავლური ბიოტა - Platycladus orientalis;
- 15 ძირი (N 1, N 13, N 14, N 20, N 21, N 22, N 23, N 25, N 26, N 28, N 31, N 32, N 34, N 35, N 36) ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica;
- 1 ძირი (N 37) თუთა ჩვეულებრივი - Morus;
- 1 ძირი (N 40) კაკლის ხე - Juglans regia;
- 1 ძირი (N 38) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
- 2 ძირი (N 39, N 41) კატალპა - Catalpa;
- 11 ძირი (N 2, N 3, N 4, N 5, N 11, N 15, N 16, N 17, N 19, N 24, N 29) კვიდო - Ligustrum;
- 1 ძირი (N 6) ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara.

ერთეულად მდგომი ჯანსაღი 34 ძირი ხე–მცენარიდან 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრისაა 14 ძირი:

- 2 ძირი (N 9, N 10) აღმოსავლური ბიოტა - Platycladus orientalis;
- 1 ძირი (N 40) კაკლის ხე - Juglans regia;
- 2 ძირი (N 39, N 41) კატალპა - Catalpa;
- 9 ძირი (N 3, N 4, N 11, N 15, N 16, N 17, N 19, N 24, N 29) კვიდო - Ligustrum.

მათი გადარგვა შესაძლებელია და რეკომენდირებულია იხელმძღვანელოთ თანდართული გადარგვის მეთოდოლოგიით.

25 სმ–ზე მეტი დიამეტრისაა 20 ძირი:

- 15 ძირი (N 1, N 13, N 14, N 20, N 21, N 22, N 23, N 25, N 26, N 28, N 31, N 32, N 34, N 35, N 36) ელდარის ფიჭვი - Pinus eldarica;
- 1 ძირი (N 37) თუთა ჩვეულებრივი - Morus;
- 1 ძირი (N 38) კანადური ვერხვი - Populus deltoides;
- 2 ძირი (N 2, N 5) კვიდო - Ligustrum;
- 1 ძირი (N 6) ჰიმალაის კედარი - Cedrus deodara.

25 სმ–ზე დიდი დიამეტრის ხე–მცენარეები ითვლებიან დიდტანოვან ეგზემპლარებად და მათი გადარგვა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის მეთოდოლოგიით და სპეციალური ტექნიკით გამოყენებით.

პატარა ზომის ხეების გადარგვის მეთოდოლოგია

დიამეტრით 25 სმ-მდე

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ხე–მცენარის ამოღება და დარგვა

1. გადარგვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით - სპეციალური სარგავი მანქანით. ხელით დარგვა შესაძლებელია განხორციელდეს ორის მეთოდით: ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით.
2. ხის გადარგვას მიწის კომით გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები, რაც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს მიწის გუნდაში მოთავსებულ ფესვთა სისტემის დაცვაში, რომელიც არ ზიანდება და რჩება თითქმის ხელშეუხებელ მდგომარეობაში. თუმცა ყველაფერი ეს იმ შემთხვევაშია გარანტირებული თუ გადარგვის პროცესში მიწის გუნდაში არ შეიქმნება არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას, მათგან ნიადაგის მოშორებას.
3. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; მცენარეების ნერგებს უნდა ქონდეთ „მიწის გუნდა“, მიწის დიამეტრით არა ნაკლებ ხის სიმაღლის 1/5-სა , სიღრმით - არა ნაკლებ 1/6-ისა.
4. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
5. სასურველია ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
6. იმ შემთხვევაში თუ მოხდა ხე–მცენარის კომის გარეშე გადარგვა ორმოს ადგილზე ამოიღებული ორმოს სიღრმე და დიამეტრი უნდა იქნას ამოღებული ნერგის ფესვების სიგრძისა და გარშემოწერილობის პარამეტრების შესაბამისად. ნერგების ორმოში დარგვის წინ უნდა შეიკვეცოს ფესვები, სასურველია ამოივლოს წუწუხში და ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით დარჩეს.
7. ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).
8. კომით გადარგვის შემთხვევაში და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; უკომოდ გადარგვის შემთხვევაში ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით;
9. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
10. სასურველია ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

11. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან; მცირე ზომის ნერგი შეიძლება აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი)..
12. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. მოვლის ღონისძიებები დარგვიდან პირველი 3 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პირველ წელს სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ხეების ირგვლივ ჯამების გამარგვლა - გაფხვიერება და მორწყვა. ერთ მორწყვაზე, თითოეული ხისათვის იხარჯება 10 სათლი (ვედრო) წყალი. მშრალ ამინდში ირწყვება, დეკადის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველდღიურად, დაწვიმებით ირწყვება ხის/ბუჩქების ვარჯი (დილით ან საღამოთი).
2. მოვლის ღონისძიებაა მავნებლების-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. ხეების მოვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხის ვარჯის ფორმირება. ხის დეკორატიულობა დამოკიდებულია არა მარტო ყვავილისა და ფოთლების სილამაზეზე, არამედ საღ და კარგად ფორმირებულ ვარჯზე.
3. ხის ფორმირება ახალგაზრდობისას საჭიროა ინტესიურად, სიბერეში კი - ხეს აჭრიან ხმელ ტოტებს ან აახალგაზრდავებენ მთელ ვარჯს. ფაქტიურად, გამწვანებაში, ნარგავების მოვლა მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე.
4. წიწვოვანი ხეების ვარჯის ფორმირებას არ აწარმოებენ საერთოდ. ხის და ბუჩქების მოვლა გამოიხატება: ხეების გაახალგაზრდავებაში, ფოთოლმცვენი ბუჩქების გაახალგაზრდავებაში, მარადმწვანე და ფოთლოვანი ბუჩქების ფორმირებაში, ბორდიურების კრეჭაში, ღეროებისა და ქერქების მოვლაში და ა.შ.
5. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე სასურველია განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.

შენიშვნა: ზემოთ მოცემული მეთოდოლოგია შემუშავებულია პატარა ზომის 25 სმ–ზე ნაკლები დიამეტრის ხე–მცენარეებზე, ხოლო 25 სმ–ზე მეტი დიამეტრის ხე–მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად.

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ
შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირი

ექსპერტი
დავით კობახიძე

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო დასკვნასთან ერთად გაგაცნობთ მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას

I განცხადება

მშენებლობის მიზნით (იგულისხმება შემთხვევა, როცა მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2018 წლის 22 თებერვლამდე) კერძო საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავის მოჭრა ან/და გადარგვა

ნომენკლატურა:
ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვა - სამშენებლო მოედანზე
განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნის ტექსტს (სადაც, დაკონკრეტებული უნდა იყოს თუ რა მიზნით სურს განმცხადებელს მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა);

- უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებას (მათ შორის ფოტო-მასალა);
(*მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების დოკუმენტი, როგორც წესი მოიცავს ფოტო-მასალასაც. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ფოტოები არ ახლავს ხარისხობრივი შეფასების დოკუმენტს და აუცილებელია, რომ დაინტერესებულმა პირმა თავად დაურთოს განცხადებას. ფოტო მასალა თუ დისკის სახით იქნება წარმოდგენილი, შესაძლებელია მისი ამ სახით ჩაბარებაც);*

- განმცხადებელმა უნდა წარმოადგენინოს სათანადო ტოპო. გეგმა, რომელზეც დატანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:
  - საპროექტო შენობის განთავსების სქემა;
  - მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები ნუმერაციის მიხედვით;
  - საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნა;

შენიშვნა:
დაინტერესებული პირი - არის მესაკუთრე, რომელსაც შეიძლება ყავდეს წარმომადგენელი/მინდობილი პირი. ამ შემთხვევაში, პირმა ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარმოადგინოს მინდობილობა.

II განცხადება

მშენებლობის მიზნით კერძო საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავის მოჭრა ან/და გადარგვა (იგულისხმება შემთხვევა, როცა მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადარგვის შესახებ გაცემულია ადმინისტრაციული დაპირება)

ნომენკლატურა:
მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვა - სამშენებლო მოედანზე
განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნის ტექსტს;
- მშენებლობის ნებართვას;
- ადმინისტრაციული დაპირების ფარგლებში მოთხოვნილ დოკუმენტაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა:
ადმინისტრაციული დაპირება სამსახურის მიერ გაიცემა 2018 წლის 22 თებერვლიდან შემდეგ.
როგორც ცნობილია, მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად დაინტერესებული პირი მიმართავს არქიტექტურის სამსახურს და სხვა სავალდებულო დოკუმენტებთან ერთად tas.ge-ზე ტვირთავს:

- უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებას (მათ შორის ფოტო-მასალა);
- სათანადო ტოპო გეგმას (გეგმაში დატანილია საპროექტო შენობის განთავსების სქემა, მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნაში აღწერილი მწვანე ნარგავები ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნა).

არქიტექტურის სამსახური გამწვანების სამსახურს, პოზიციის დაფიქსირების მიზნით, უგზავნის დაინტერესებული პირის განაცხადს შესაბამისი დანართებით, რის საფუძველზეც გარემოს დაცვის სამსახური აფიქსირებს თავის პოზიციას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით. ე. წ ადმინისტრაციულ დაპირებაში, გარემოს დაცვის სამსახურის მიერ, გაწერილია ყველა ის პირობა, რაც უნდა დააკმაყოფილოს დაინტერესებულმა პირმა არქიტექტურის სამსახურიდან მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ ხე-მცენარეების საკომპენსაციო ჭრასა, თუ გადარგვის პროცედურებთან დაკავშირებით.

III განცხადება

თუ განმცხადებელს მშენებლობის მიზნით სურს მწვანე ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა და ჯერ არ აქვს მშენებლობის ნებართვა აღებული, ნარგავების მოჭრის ან/და გადარგვის თაობაზე განცხადება (რომელიც მოიცავს I პუნქტში გათვალისწინებულ დოკუმენტაციას) მან უნდა შეიტანოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო ყველა სხვა დანარჩენ დოკუმენტებთან ერთად.

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

საექსპერტო ლაბორატორიული დასკვნა

მწვანე ნარგავების დაავადებების კვლევაზე

დასკვნის ნომერი: N 07/076-ლ
დასკვნის გაცემის თარიღი: 28.09.2020 წ
კვლევის ჩატარების თარიღი: 09.09.2020 წ
კვლევის ჩატარების მეთოდი: ლაბორატორიული.
მისამართი: ქალაქი თბილისი , ჭუჩა წულუკიძე , N 6
საკადასტრო კოდი: N 01.17.10.008.153
მესაკუთრე: შპს „ტიბინი ჯგუფი“ ID ნომერი:406117492
ლაბორატორიის მისამართი: ქ. თბილისი, ორხევი, ზ. დამენიას ქ. N 2, ”ოფისი“ მე–2 სართული) , შ.პ.ს „ბიოაგრო–მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“.

ცხრილი N 1

რიგ N	ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	27	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	60,5	44,6	9	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება
2	33	თუთა ჩვეულებრივი (Morus)	47,1	27,4	6,5	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება

2 ძირ ხე-მცენარეზე ჩატარდა ლაბორატორიული კვლევა, კერძოდ:

- 1 ძირი (N 27) **კანადური ვერხვი - Populus deltoides;**
- 1 ძირი (N 33) **თუთა ჩვეულებრივი - Morus.**

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

ადგილზე შეგროვდა საკვლევი ფაქტობრივი მასალა (ქერქის ანათლები, ხმელი ტოტები, ნაღრღნი, აღებული იქნა ნიმუში პრესლერის ბურღით), რომლებიც დალუქული იქნა სპეციალურ კონტეინერში, გაუკეთდა წარწერა საკადასტრო კოდის და ხის ნომრის მითითებით და გასხნილი იქნა შ.პ.ს „ბიოაგრო–მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“-ს ლაბორატორიაში კვლევის ჩასატარებლად. (მისამართი: ქ. თბილისი, ორხევი, ზ. დამენიას ქ. N 2, ყოფილი თვალჭრელიძის ქუჩა ნაკვეთი 06/012, ”ოფისი“ მე–2 სართული). კვლევის დამთავრების შემდგომ მოხდა შესწავლილი ნიმუშების ხელახალი დალუქვა კონტეინერში, რომელიც ინახება შპს სილვა გრუპის ოფისში. (მისამართი: ქ.თბილისი ცოტნე დადიანის ქუჩა N 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, ოფისი 412 ბ).

დაავადებული ეგზემპლარის კვლევის შედეგი ეფუძნება ფაქტობრივი მასალის მიკროსკოპული ანალიზისა და იდენტიფიკაციის შედეგებს. მიკრო და მაკრომიცეტი სოკოები იდენტიფიცირებული იქნა მათი ნაყოფიანობის მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე, სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორფოლოგიური) ნიშნების აღწერის მონაცემების მიხედვით სხვადასხვა მეთოდურ წყაროებზე დაყრდნობით (Хохряков, 1969, Метод,ы, 1974, Hawksworth, 1974). მიკროსკოპირებისათვის საჭირო პრეპარატები (ანათლები) მომზადდა სამართებლით, მოთავსდა ონკანის წყალში და გაისინჯა სინათლის მიკროსკოპით. სოკოს სახეობის იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული იქნა კლასიკური და თანამედროვე სარკვევები.

აღებული ნიმუშების და მიკრო და მაკრომიცეტი სოკოს მომწიფებული ნაყოფიანობის მქონე ნიმუშების იდენტიფიკაცია მოხდა მიკროსკოპული ანალიზის საფუძველზე. კვლევის შედეგად გამოვლენილია რიგი მავნებლები და დაავადებები, რომელიც შესწავლილი და აღწერილია საექსპერტო დასკვნაში.

ლაბორატორიულ კვლევის პროცესში ძირითადად გამოყენებული იქნა მავნებლების და სოკოების იდენტიფიკაციის კლასიკური მეთოდი, რომელიც ეფუძნება გარეგნული და სტრუქტურულ - მორფოლოგიური (მიკრომორ–ფოლოგიური) ნიშნების აღწერას (Shoemaker, 1964).

ლაბორატორიული კვლევის შედეგები

N 27 კანადური ვერხვი - Populus deltoides მდგომარეობა - ხმობადი. გადანაბელი, მთავარ ღეროზე დაფიქსირდა მავნებლის - ქერქიჭამიის და ვერხვის პატარა ხარაბუზას - Saperda populnea

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

სასვლელები. პრესლერის ბურღით ამოღებული ნიმუში იფშვნებოდა, რომელიც შეფერილი იყო შავი მონაცისფროდ. იდენტიფიკაციის შედეგად გამოვლინდა აბედა სოკოს - *Fomes fomentarius* სპორები, რომელიც ღრმად იჭრება მერქანში დაზიანებული ადგილებიდან, ვრცელდება მერქანში და იწვევს გულგულის სიდამპლეს. ტოტების უმეტესობა ხმელია, ფუტურო და მტცვრევადი. ხმელ ტოტებზე აღინიშნა მიკრომიცეტი სოკოს - *Cryptodiaporthe populea* ღია ყავისფერი, ჩაზნექილი მეჭეჭების ფორმის ნაყოფსხეულები და ქერქის სკდომა. რაც იწვევს ტოტების ხმობას.

დასკვნა: შესწავლილი ეგზემპლარი არის ხნოვანი და გადაბერებული. განიცდის სოკოების დამშლელ ზემოქმედებას მსგავსი სიმპტომები დამღუპველია. ქარქცევადი და საფრთხის შემცველია. განკურნებას არ ექვემდებარება.

N 33 თუთა ჩვეულებრივი - Morus მდგომარეობა - ხმობადი. მთავარ ღეროზე ფესვის ყეთან დაფიქსირდა ღია ფუღურო. სადაც მრავლადაა ქერქიჭამიას სავლელები და მიკრმიცეტი სოკოს - *Polyporus hispididus* ნაყოფსხეულები გამოხატული ლაქების სახით, რომელიც იწვევს გულის სიდამპლეს. მართალია ტოტების უმრავლესობა საღია, მაგრამ აღინიშნება ტოტების წვეროდან ხმობა. ხმელი ტოტების იდენტიფიკაციის შედეგად ნახეთქი ჭრილობებში დაფიქსირდა მიკრომიცეტის სოკოს - Thyrococcum sirokoffi ნაყოფსხეულები, რომელიც შემოუვლის ტოტს და ახმობას მას.

დასკვნა: შესწავლილი მცენარე ხნოვანია და დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე განკურნებას არ ექვემდებარება.

შემსრულებელი: *დავით კობახიძე*
ექსპერტი

0101, საქართველო, თბილისი, ც. დადიანის ქ. N 7,სავაჭრო ცენტრი ქარვასლა, ოფისი ბ-412, ტელ (+995 32) 2 06 03 03
Apt B-412, N 7 C. Dadiani st, Tbilisi, Georgia, Post Index 0101, Tel: (+995 32) 2 06 03 03 , Email: davitkob@gmail.com

კ-3 კოეფიციენტის ათვისების დენდროლოგიური პროექტი

პროექტით გათვალისწინებული გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0.2

საკადასტრო კოდი: 01.17.10.008.153

მიწის ნაკვეთის ფართი: 4225.0 მ^2

მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟუჩა წულუკიძე, №6

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

მესაკუთრე: შ.პ.ს "ტიბინი ჯგუფი" (406117492)

კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი კ-3=0.2=927.5 მ^2



არსებული ტოპოგეგმა



მიწის ნაკვეთის ფართობი - 4489 კვ.მ.

არსებული მცენარეების მოჭრა-გადარგვის უწყისი

– მოსაჭრელი ხე-მცენარეები

– გადასარგავი ხე-მცენარეები

ხის N	სახეობა	Do დიამეტრი 10სმ-ზე	Dt დიამეტრი 1.3 მ-ზე	კვეთები 1სმ დან 4სმ მდე ცალი	H სიმაღლე მ	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	47,8	41,4		8,5	ჯანსაღი	
2	კვიდო (Ligustrum)	30,3	15,9		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
3	კვიდო (Ligustrum)	23,9	11,1		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
4	კვიდო (Ligustrum)	17,5	15,9		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
5	კვიდო (Ligustrum)	33,4	11,1		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
6	ჰიმალაის კედარი (Cedrus deodara)	51,0	41,7		11	ჯანსაღი	
7	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	51,0	41,4		9,5	ზეხმელი	გადასაბელი
8	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	54,1	39,8		7	ზეხმელი	გადასაბელი
9	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	15,9	14,3		6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
10	აღმოსავლური ბიოტა (Platycladus orientalis)	11,8	9,6		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
11	კვიდო (Ligustrum)	15,0	11,1		4,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
12	პალმა (Palmae)	14,3	12,7		4	ზეხმელი	
13	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	38,2	29,3		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
14	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	46,8	35,4		8,5	ჯანსაღი	
15	კვიდო (Ligustrum)	9,6	3,2		2	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
16	კვიდო (Ligustrum)	9,6	1,6		1,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
17	კვიდო (Ligustrum)	1,6	0,0		0,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
18	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	33,4	27,1		7,5	ზეხმელი	
19	კვიდო (Ligustrum)	8,0	5,4		3	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
20	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	40,4	34,1		8,5	ჯანსაღი	
21	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	29,0	22,9		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
22	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	36,9	28,3		8,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
23	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	39,8	34,1		9	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
24	კვიდო (Ligustrum)	9,6	3,8		2,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
25	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	38,9	35,0		9	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
26	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	31,8	22,9		6,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით
27	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	60,5	44,6		9	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, იხ.ლაბორატორიული დასკვნა
28	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	47,8	35,4		9	ჯანსაღი	
29	კვიდო (Ligustrum)	19,1	9,6		4	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა, ორკაპა
30	platanus	38,9	31,8		10	ზეხმელი	
31	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	41,4	37,6		9	ჯანსაღი	
32	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	55,7	41,4		9,5	ჯანსაღი	
33	თუთა ჩვეულებრივი (Morus)	47,1	27,4		6,5	ხმობადი	განკურნებას არ ექვემდებარება, იხ.ლაბორატორიული დასკვნა
34	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	40,8	35,7		9,5	ჯანსაღი	
35	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	43,9	36,3		9,5	ჯანსაღი	
36	ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)	47,8	43,6		6,5	ჯანსაღი	
37	თუთა ჩვეულებრივი (Morus)	25,5	15,9		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით, ორკაპა
38	კანადური ვერხვი (Populus deltoides)	25,5	14,3		6	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა ინდივიდუალურად შემუშავებული მეთოდოლოგიით და სპეც ტექნიკით, ორკაპა
39	კატალპა (Catalpa)	11,1	8,6		4,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
40	კაკლის ხე (Juglans regia)	8,0	8,6		5,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
41	კატალპა (Catalpa)	8,6	4,8		3,5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა
42	თუთა ჩვეულებრივი (Morus)			3	3,5	ჯანსაღი	ჯგუფში 3 ერთეული, შესაძლებელია გადარგვა

არსებული ფოტო







საპროექტო გენგეგმა



ექსპლიკაცია

- საპროექტო გამწვანება
- საპროექტო შენობა
- არსებული ხე-ნარგავი
- გადასარგავი ხე-ნარგავი
- გადარგული ხე-ნარგავი



კ-3 კოეფიციენტის
საანგარიშო ფართობი
კ-3=0.2= 927.5

გადასარგავი ხე მცენარის სახეობა 7 ძირი:

- 5 ძირი №1; №31; №34; №35; №36 – ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)
- 1 ძირი №37 – თუთა ჩვეულებრივი (Morus)
- 1 ძირი №38 – კანადური ვერხვი (Populus deltoides)

შენიშვნა: ტერიტორიაზე არსებული 42 ძირი მწვანე ნარგავი სრულად
ითვისებს კ3 კოეფიციენტის ასათვისებელ ფართს

აქსონომეტრიული ხედი



აქსონომეტრიული ხედი



დენდროლოგიური პროექტი
საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შ.პ.ს "ტიბინი ჯგუფი" (406117492

საპროექტო ტერიტორია:

საკადასტრო კოდი: 01.17.10.008.153

მიწის ნაკვეთის ფართი: 4225.0 მ^2

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა წულუკიძე, №6

ნებართვის გამცემი ორგანო:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

პროექტით გათვალისწინებული
გამწვანების კოეფიციენტი კ-3=0.2=927.5 მ^2

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი - 2020 წ.
დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი - 2023 წ.

გადასარგავი ხე მცენარის სახეობა 7 ძირი:

5 ძირი №1; №31; №34; №35; №36 - ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)

1 ძირი №37 - თუთა ჩვეულებრივი (Morus)

1 ძირი №38 - კანადური ვერხვი (Populus deltoides)

გაშენებულ ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე
პასუხისმგებელი პირი: შ.პ.ს "ტიბინი ჯგუფი" (406117492)

გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლის ხამგრძლივობა: 3 წელი.





წერილის ნომერი: **18-01210482318**
თარიღი: **17/02/2021**
პინი: **7060**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01210401007
წერილის თარიღი:	09 თებერვალი, 2021
განმცხადებელი:	ზურაბ ახალაია
განაცხადის N	AR1792992
მისამართი	ქ. თბილისი, წულუკიძის ქუჩა N6
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.17.10.008.153
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ტიბინი ჯგუფი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) გამწვანებული ტერიტორიები
არსებული შეზღუდვები	--
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია გადამრგველი ფიზიკური/იურიდიული პირის თანხმობა მწვანე ნარგავების გადარგვის შესახებ საექსპერტო დასკვნა განმარტებითი ბარათი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“

ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტი (ცხრილი 2); კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი; დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,ი“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით N17-55 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ 21-ე, 21^1-ე, 21^2-ე მუხლები; 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი; 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი; 26^1-ე მუხლი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ხოლო ამგვარი გზით ნარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, მშენებლობის მიზნით, გასცეს საპროექტო კონტურში განთავსებული 2 ძირი მწვანე ნარგავის (N37 ჩვეულებრივი თუთა - 25.5სმ; N38 კანადური ვერხვი -25.5სმ) ***გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვას, გადარგვის საბოლოო ნებართვის მისაღებად.***

ჯანსაღი მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, თუ ისინი პირდაპირ აფერხებენ მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს გახდის მშენებლობის განხორციელებას. ვინაიდან განმცხადებლის სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 2 ძირი ელდარის ფიჭვი ხელს უშლის მშენებლობის განხორციელებას და ვინაიდან, მათი მოჭრით არ დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მოსაჭრელი ხეების რაოდენობა არ აღემატება ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების 25%, სამსახური გასცემს მოცემული ელდარის ფიჭვების **(N34-40.8სმ; N36-47.8სმ)** ***მოჭრის ნებართვას, მას შემდეგ რაც განმცხადებელი სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვასა და ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანისთვის აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 6200 (ექვსი ათას ორას) ლარს. (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი- #300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).***

პროექტის შეთანხმების ეტაპზე გასათვალისწინებელი წინაპირობები

დადგენილების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს ამ დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, აგრეთვე „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ, ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**.

გარდა ზემო აღნიშნულისა, გამწვანების პროექტში განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, მარადმწვანე კვიპაროსის, ელდარის, შავი ფიჭვის, ვერხვისა და ხილ-კენკროვანი მცენარეებისა).**

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს, პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გასათვალისწინებელი წინაპირობა

წინამდებარე დოკუმენტი ადმინისტრაციული დაპირებაა. მწვანე ნარგავების მოჭრის ანდა გადარგვის ნებართვის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს ზემოაღნიშნული მოთხოვნები.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



წერილის ნომერი: **18-01211473831**
თარიღი: **27/05/2021**
პინი: **3626**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-01211194407
წერილის თარიღი:	29 მარტი, 2021
განმცხადებელი:	ზურაბ ახალაია
განაცხადის N	AR1791616
მისამართი	ქ. თბილისი, წულუკიძის ქუჩა N6
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.17.10.008.153
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომპლექსი (,,ა" ბლოკი); IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	ბრძანება №4327030 თარიღი: 09 იანვარი, 2019
არსებული შეზღუდვები	--
ფართობ(ებ)ი:	4225
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ტიბინი ჯგუფი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11

დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ ტერიტორიაზე მდგომი ჯანსაღი 33 ძირი მცენარე (2 ძირი ჩვ. თუთა, 2 ძირი აღმოსავლური ბიოტა, 14 ძირი ელდარის ფიჭვი, 1 ძირი კაკალი, 1 ძირი კანადური ვერხვი, 2 ძირი კატალპა, 11 ძირი კვიდო, 1 ძირი ჰიმალაის კედარი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო მინიმალურ ფართობს (633,75 კვ.მეტრი). **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციისთვის

გაცნობებთ, რომ გამწვანების საინფორმაციო დაფაზე უნდა მიეთითოს ტერიტორიაზე არსებული ჯანსაღი მცენარეების (გარდა, ზეხმელი/ხმობადი მწვანე ნარგავებისა) ზუსტი რაოდენობა. ასევე, გაცნობებთ, რომ გამწვანების საინფორმაციო ბანერზე უნდა დაკორექტირდეს გადასარგავი ხეების რაოდენობა, სამსახურის წერილობითი გადაწყვეტილების შესაბამისად (N18-01210482318 -17.02.2021წ).

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი